ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა N129/გ

ქ. მცხეთა

01 დეკემბერი 2016 წელი

ერთი მხრივ, მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა, წარმოდგენილი მუნიციპალიტეტის გამგებლის ზურაბ აბესაძის სახით, შემდგომში „შემსყიდველი“ და მეორე მხრივ, **შპს „გრანდელექტრონიქსი,** წარმოდგენილი მისი დირექტორის ოვანეს ნაზარიანის სახით შემდგომში „მიმწოდებელი“ ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე;

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 4 ერთეული კონდიციონერის შესყიდვა. (CPV42500000)(ინვოისი თან ერთვის).

2. საქონლის მიწოდების ვადა და ღირებულება

2.1 საქონლის მიწოდების ვადაა 5 დღე ხელშეკრულებაზე ხელისმოწერის დღიდან;
2.2 ხელშეკრულების საერთო ღირებულებაა 4600 (ოთხიათას) ლარი.

3 . ანგარიშსწორება

3.1 ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით, შესყიდულ საქონელზე მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

4. მხარეთა უფლება – მოვალეობები

4.1 „მიმწოდებელი" კისრულობს ვალდებულებას;
4.1.1 მიაწოდოს საქონელი ხელშეკრულებით ნაკისრ ვადებში.
4.1.2 მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან ერთი წლის განმავლობაში მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას მიწოდებული საქონლის დეფექტის გამოვლენისას შეიცვალოს ახლით, შემსყიდველის მხრიდან დამატებითი ანაზღაურების გარეშე.
4.2 „შემსყიდველი“ კისრულობს ვალდებულებას:
4.2.2 უზრუნველყოს თანხის ჩარიცხვა ხელშეკრულებით ნაკისრ ვადებში.

5. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისას

5.1 თუ „მომწოდებელი“ არ ასრულებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს, „შემსყიდველი“ წერილობითი ფორმით აფრთხილებს დაიცვას ხელშეკრულების პირობები.
5.2 ვალდებულების კვლავ შეუსრულებლობის შემთხვევაში „შემსყიდველს“ უფლება აქვს განიხილოს ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტის საკითხი.
5.3 შესყიდვის არაჯეროვნად ან არშესრულების და ვადაგადაცილების შემთხვევაში „შემსყიდველი“ უფლებამოსილია „მომწოდებელს“ არ აუნაზღაუროს საქონლის ღირებულება და დააკისროს პირგასამტეხლო მთლიანი საქონლის ღირებულების 0,1%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

6. ხელშეკრულების ძალაში შესვლა

6.1 ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერის დღიდან.

7. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა

7.1 ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ფასები და უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

8. ფორს – მაჟორი

8.1 მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთ ვალდებულებათა სრულად ან ნაწილობრივ შესრულებაზე, თუ ეს შესრულება გამოწვეულია ისეთი გარემოებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალოდ ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე.

9. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

9.1 წამოჭრილი დავები ან აზრთა სხადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნეს ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

9.2 თუ „მიმწოდებელი" და „შემსყიდველი" მოლაპარაკების დაწყებიდან 10 დღის განმავლობაში ვერ შესძლებენ მოლაპარაკების საფუძველზე გადაწყვიტონ დავა, მაშინ ნებისმიერ მხარეს შეუძლია მიმართოს სასამართლოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

10. სხვა პირობები

10.1 ამ ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი საკითხები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.

10.2 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის თანხმობის გარეშე.

10.3 ხელშეკრულება დგება ქართულ ენაზე. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

11 ხელშეკრულების პირობების კონტროლი

11.1 ხელშეკრულების პირობების კონტროლს განახორციელებს მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის, მატერიალურ ტექნიკური განყოფილების უფროსის მოვალეობის შემსრულებელი გია ბროძელი.

12 ხელშეკრულების მოქმედების ვადა

12.1 ხელშეკრულების მოქმედების ვადა 2017 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

13. მხარეთა რეკვიზიტები

„მომწოდებელი"

შპს „გრანდელექტრონიქსი"
ს/კოდი: 202362530
ბანკი: „საქართველოს ბანკი"
ბ/კ BAGAGE22
ა/ა GE72BG0000000176911800
ტელ: 579 51 10 99

მის: თეოდორე მღვდლის 44

დირექტორი

ო. ნაზარიანი

„შემსყიდველი"

მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა
ს/კოდი: 236098824
ბანკი: სახელმწიფო ხაზინა
ბ.კ TRESGE22

ა/N GE24NB0330100200165022

მის: ქ. მცხეთა, ანტიოქიის ქ. №7

ზ. აბესაძე